საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 5 22 0000015136

12/01/2022

შპს ალტე უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5 „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის უწყვეტობის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის ყოველი მომდევნო აკრედიტაციისას ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებაში მიეთითება აკრედიტაციის ვადის დასაწყისი (გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღი), რომელიც, საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის საფუძველზე, შესაძლებელია განისაზღვროს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან დარჩენილ მიმდინარე აკრედიტაციის ვადის დასრულების მომდევნო დღიდან ან გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან დარჩენილ მიმდინარე აკრედიტაციის დასრულებამდე არსებული კონრეტული თარიღიდან.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოდგენილ იქნა შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის 2021 წლის 01 ივლისის №827 სააკრედიტაციო განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის №659133 01/07/2021) "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 21 ივლისის № 728257 ბრძანების საფუძველზე, შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში - შპს ალტე უნივერსიტეტი) ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 03 სექტემბრის № 857369 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის 27 სექტემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უსდ-ში, ხოლო 2021 წლის 13 დეკემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 22 დეკემბერს სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 2.3, 3.1 და 5.1 კომპონენტიბი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია მე-3 და მე-5 სტანდარტების შეფასების ცვლილება და შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. 2.4 და 2.5 კომპონენტების შეფასება ნახვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ რამაც გამოიწვია მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება და შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1.დაკმაყოფილდეს შპს ალტე უნივერსიტეტის მიერ წარმოდგნილი სააკრედიტაციო განაცხადი "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისშესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2022 წლის 12 იანვრის №15028 ოქმის №-01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რჩევები და რეკომენდაციები და განსაზღვრა შემდეგი

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ გამოიკვეთოს და გაიმიჯნოს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს აღმწერის მესამე კომპეტენცია „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“.
2. რეკომენდებულია დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში დაზუსტდეს სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა;
3. რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომების მეთოდოლოგიის, აკადემიური წერის სტანდარტების და შეფასების კრიტერიუმების დაცვა;
4. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსის სილაბუსში (მაგ. მედიამენეჯმენტი, ანალიტიკური ჟურნალისტიკა, ბეჭდური მედია, საზღვარგარეთის მედია) გადაიხედოს შეფასების ინსტრუმენტები და მკაფიოდ გაიმიჯნოს სწავლება-სწავლის მეთოდისგან; ასევე, სწავლების მეთოდები უფრო მეტად გამრავალფეროვნდეს;
5. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლება-შენარჩუნებასა და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
6. რეკომენდებულია, უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტთა მხრიდან სასწავლო პროცესის შეფასების დროს ხარისხის შეფასების ფორმების მკვეთრად გამიჯვნა, სასწავლო პროცესის კომპონენტების დაცვა-შეფასებაზე სათანადო მონიტორინგი.

რჩევები:

1. რეკომენდებულია, რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში აისახოს სავალდებულო ლიტერატურის რეალისტური რაოდენობა, კერძოდ, შემცირდეს და გადანაწილდეს დამხმარე ლიტერატურაში;
2. სასურველია სასწავლო კურსთა სილაბუსებში აქტივობის ქულების გადანაწილებასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზების გასწორება;
3. სასურველია სასწავლო კურსი „ჰიბრიდული ომების გავლენა მედიაზე“ მოდიფიცირდეს „საინფორმაციო ომების გავლენად მედიაზე“;
4. სასურველია, სტუდენტებთან მეტი მუშაობა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის სტიმულირების მიზნით, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ჟურნალისტის პროფესიისთვის;
5. სასურველია, გასწორდეს პროფესორ-მასწავლებელთა შრომით ხელშეკრულებებში არსებული ტექნიკური უზუსტობა;
6. სასურველია, მედიალაბორატორიების დამატებისა და მათთვის აუცილებელი ინვენტარის გაზრდის ტენდენცია გაგრძელდეს;

7. სასურველია, ბიუჯეტის დოკუმენტში დეტალურად აისახოს სასწავლო-სამეცნიერო კომპონენტთან დაკავშირებული დაფინანსება;
8. სასურველია, სტუდენტთა მიერ სასწავლო პროცესის შეფასების დროს ცალცალკე შეფასდეს სასწავლო კურსები და პროფესორ-მასწავლებელთა საქმიანობა;
9. სასურველია უნივერსიტეტმა ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის მოქმედების ვადა გაახანგრძლივოს და ამის თაობაზე შესაბამისი დოკუმენტი მიიღოს.

5.ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2022 წლის 22 დეკემბერი.

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 22 დეკემბერს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ